1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება.
Program title: Child and Adolescent Psychological Assessment and Counseling.

2. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: ლუიზა არუთინოვი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ასოცირებული პროფესორი; მანანა მელიქიშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ასოცირებული პროფესორი.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ან სპეციალისტის დიპლომი ფსიქოლოგიაში;
- სამუშაო გამოცდილება არ არის აუცილებელი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- სტანდარტული საგანაცხადო ფორმის შევსება საუნივერსიტეტო მოთხოვნების შესაბამისად;
- მისაღები გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში „განვითარების ფსიქოლოგია“;
- გასაუბრება ერთ–ერთ უცხოურ ენაში – ინგლისურში, გარმანულში, ფრანგულში ან რუსულში (სასურველია, აპლიკანტმა იცოდეს ინგლისური და რუსული ენა);
    - სამოტივაციო წერილი

გამოცდის ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:

- წერითი გამოცდა სპეციალობაში – 60% (გამოცდის ხანგრძლივობა 4 სთ. საკითხები შესაბამისი ლიტერატურის მითითებით იხ. დანართში)
- გასაუბრება უცხოურ ენაში – ფსიქოლოგიური ტექსტის წაკითხვა და თარგმნა; საუბრის წარმართვა არჩეულ უცხოურ ენაზე – 30%
  სამოტავაციო წერილი –10%

4. სამოტივაციო წერილში წარმოდგენილი უნდა იყოს არგუმენტირებული მსჯელობა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. რამ განაპირობა თქვენ მიერ ამ სამაგისტრო პროგრამის არჩევა, რითი დაგაინტერესათ ამ პროგრამამ.

2. მიუთითეთ თქვენი აკადემიური თუ პროფესიული მიღწევები, რომლებიც შეესაბამება მოცემული სამაგისტრო პროგრამის შინაარსსა და მოთხოვნებს. კონკრეტულად მიუთითეთ თქვენ მიერ გავლილი ის დისციპლინები, რომლებიც, თქვენი აზრით, დაგეხმარებათ პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების ეფექტურად ათვისებაში.

3. როგორ გესახებათ ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენების პერსპექტივები თქვენს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში.

5. საგამოცდო საკითხები

სახელმძღვანელოები:


1. Крайг, Г., Психология развития, Санкт-Петербург, «Питер», 2000г.

2. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, შრომები ტ. V, თბილისი, 2003წ.

(საკითხების შესატყვისი გვერდები მითითებული იქნება ამ სახელმძღვანელოების შესატყვისი ნომრების მიხედვით)

1. განვითარების ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები. ბავშვობის ასაკის პერიოდიზაცია. განვითარების სფეროები, განვითარების ბიოლოგიური პროცესები, გარემოს ზეგავლენა

განვითარებაზე, განვითარების პროცესების ურთიერთზეგავლენა.
_ 1. გვ. 15-23; 2. გვ. 29-38.

2. მეცნიერული მეთოდი და ადამიანის ქცევის სისტემატური კვლევის სტრუქტურა _ 1. გვ. 35-53;

3. განვითარების თეორიები: ბიჰევიორიზმი და სოციალური დასწავლის თეორია. _ 1. გვ. 64-74.

4. განვითარების თეორიები: ჟან პიაჟეს თეორია, ინფორმაციული თეორია. _ 1. გვ. 74-83.

5. განვითარების ფსიქოდინამიური თეორიები (ფროიდი, ერიქსონი); განვითარების ჰუმანისტური თეორია და `მე~-ს თეორიები. _ 1. გვ. 83-92, გვ. 92-96.

6. შემეცნებითი განვითარება ჩვილობაში. სენსო-მოტორული პერიოდი. საგნებით თამაში. ობიექტის მუდმივობა. მეხსიერება. სიმბოლური რეპრეზენტაცია. _ 1. გვ. 254-261.

7. სამეტყველო განვითარება ჩვილობაში. ენის სხვადასხვა ასპექტები. ენის დაუფლების პროცესი. მეტყველების გაგება და აქტიური მეტყველება. სიტყვამდელი პერიოდი. პირველი სიტყვები. ორსიტყვიანი წინადადებები. _ 1. გვ. 268-282.

8. ფსიქოსოციალური განვითარება ჩვილობაში. მიჯაჭულობა. რეაქცია განშორებაზე. მიჯაჭვულობის ტიპები. ემოციური კავშირის დარღვევა. _ 1. გვ. 302-320.

9. შემეცნებითი განვითარება ადრეულ ბავშვობაში. ოპერაციამდელი სტადიის თავისებურებები: ბავშვის აზროვნების ეგოცენტრიზმი, ცენტრაციის მოვლენა; კლასიფიკაცია; სერიაცია.
_ 1. გვ. 364-372.

10. პიაჟეს შემდგომი პერიოდის შეხედულებები ადრეული ბავშვობის შემეცნებით განვითარებაზე. განვითარების უახლოესი ზონა; შემეცნებითი განვითარების ინფორმაციული მოდელი: მეხსიერების მნიშვნელობა, ცნობა და აღდგენა, გამეორება და მასალის ორგანიზაცია. _ 1. გვ. 373-378.

11. თამაშის ქცევა ადრეულ ბავშვობაში. თამაშის სახეები; თამაში და კოგნიტური განვითარება. _ 1. გვ. 390-399.

12. ფსიქოსოციალური განვითარება ადრეულ ბავშვობაში. გრძნობების მართვა ადრეულ ბავშვობაში; განვითარების კონფლიქტები. _ 1. გვ. 410-420.

13. ფსიქოსოციალური განვითარება ადრეულ ბავშვობაში. აგრესიისა და პროსოციალური ქცევის დასწავლა; `მე~- კონცეფცია; სოციალური ნორმები; გენდერული სქემები. _ 1. გვ. 421-435.

14. აღზრდის სტილი. ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური, ინდიფერენტული; და-ძმები. _ 1. გვ. 436-445.

15. შემეცნებითი განვითარება საშუალო ბავშვობაში. კონკრეტული ოპერაციების სტადია; კოგნიტური განვითარების ინფორმაციული მიდგომა; მეხსიერება და მეტაშემეცნება; სამეტყველო განვითარება. _ 1. გვ. 468-478.

16. სწავლა და აზროვნება სკოლაში. ახალი მოთხოვნები; კრიტიკული აზროვნება; სასკოლო წარმატებები; სქესობრივი განსხვავებები; მშობლების ზეგავლენა; სწავლის უუნარობა. _ 1. გვ. 479-486, 495-498.

17. ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობა საშუალო ბავშვობაში. ოჯახი და სტრესი; არასრული და გაყრილი ოჯახები; ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობა. _ 1. გვ. 510-526.

18. სოციალური ცოდნის და მორალის განვითარება საშუალო ბავშვობაში. პიაჟე, კოლბერგი, გილიგანი. _ 1. გვ. 527-536.

19. თანატოლების ურთიერთობები. მეგობრობა; თანატოლების ჯგუფები და მათი თავისებურებები; კონფორმულობა; `ჩემიანები~ და `უცხოები~. _ 1. გვ. 539-546.

20. ფიზიკური განვითარება და სქესის იდენტობა მოზარდობასა და სიჭაბუკეში. ზრდის პროცესი; მორფო- ფუნქციონალური და შინაგანი ცვლილებები; ცვლილებები გარეგნობაში და მათი შეფასება მოზარდისა და მისი მშობლების მიერ. _ 1. გვ. 563-572.

21. სქესის იდენტობა და სექსუალური ქცევა. მოზარდი მშობლები. _ 1. გვ. 573-585.

22. შემეცნებითი განვითარება მოზარდობასა და სიჭაბუკეში. კოგნიტური ცვლილებები მოზარდობასა და სიჭაბუკეში; აბსტრაქტული აზროვნების განვითარება; ინფორმაციული მიდგომა; მორალის განვითარება. _ 1. გვ. 586-593.

23. ფსიქოსოციალური განვითარება მოზარდობასა და სიჭაბუკეში. დამოუკიდებლობა და ურთიერთდამოკიდებულება; იდენტობის ჩამოყალიბება; თაობათა შორის ურთიერთობა. _ 1. გვ. 601-611.

24. თანატოლები, მეგობრები და სოციალური გარემო. ღირებულებები და იდეალები მოზარდობაში. _ 1. გვ. 614-630.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ლუიზა (ბელა) არუთინოვა 599 46 74 73